ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3884604

ნომერი: AR1581350

თარიღი : 01.03.2018

გაცემის თარიღი : 26.03.2018

გაცნობის თარიღი : 21.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ქუჩა უშბა , მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , უშბის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახა ნოშაძე პ/ნ 01012000877
- ვაზისუბანი მე3 მკრ მე2 კვ. მე3 კორპ. ბ.66

ორგანიზაცია:
- შპს ბაბილონი კოდი: 406121851

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
წარმოდგენილი სახით აბრის მოწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია, შესაძლებელია მოწყობილ იქნას სადა სახით მოცულობითი სახით ასოების გათვალისწინებით სარეკლამო აბრა, ამასთან გაცნობებთ იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილია სტიკერის მოწყობა შესაძლებელია აღნიშნული მოეწყოს ვიტრაჟზე ინტერიერის მხიდან, რომელიც სამსახურის წერილობით დასტურს არ საჭიროებს.
1. შენობა, რაზეც უნდა განთავსდეს სარეკლამო აბრა და კონდიციონერები, არ არის საკადასტრო გეგმაზე ასახული, შესაბამისად პირველ რიგში უნდა მოხდეს ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის განახლება, სადაც დაფიქსირდება სარეკონსტრუქციო შენობა, ხოლო განახლებული საკადასტრო გეგმა, სადაც დატანილი იქნება სარეკლამო აბრის და კონდიციონერების განთავსების ადგილი, ატვირთეთ "ფაილის მიმაგრების" ველში.
2. ვინაიდან აღნიშნული ობიექტი ქუჩის მხრიდან აღქმადია და მდებარეობს ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით სარეკლამო სტიკერის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია, კერძოდ მიუღებელია ყვითელი ფერი, აღნიშნული შეიცვალოს სხვა ალტერნატიულ ფერით, უფრო თბილ (არამყვირალა) ტონალობით.
3. -წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა რომ საპროექტო შენობაზე უკვე განხორციელდა უნებართვო რეკოსნტრუქცია. შესაბამისად უნებართვო შენობა ნაგებობის შემდეგ განვითარებაზე სამსახური მშენებლობის ნებართვას ვერ გაცემს. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ, ან წარმოდგენილ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის აქტი სამართალდარღვეობის არარსებობის თაობაზე.

ასევე, მოთხოვნის ტექსტში განმარტეთ ბადე-სტიკერი ვიტრინის გარედან ეწყობა, თუ შიგა მხრიდან. იმ შემთხვევაში თუ ვიტრინის გარედან ეწყობა, მაშინ დაიანგარიშეთ არსებულ აბრასთან ერთად პროცენტულობა , ასევე დაიტანეთ მთლიანი ფასადის გაბარიტული ზომები.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი .

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.